სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

18825978588922

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221593825

რეგისტრაციის თარიღი

21.11.2022 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას **ოცდაორი** წლის **ოცდაერთ ნოემბერს** მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. #16, მომმართა **ამირან ანდღულაძემ.** მან განაცხადა, რომ არის **შპს „კოლოსი დიღომი“-ს (რეგისტრირებული: 27/05/2021წელს, ს/ნ 405463350) დირექტორი** და სურს მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ამირან ანდღულაძემ (დაბ. 29.10.1999 წელს, პ/ნ 33001076370 მისამართი: საქართველო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ოზურგეთი, არსენა ჯორჯიაშვილის IIს შესახვევი, N 15),** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე ასევე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში და შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ამირან ანდღულაძე, როგორც შპს „ კოლოსი დიღომი“-ს (რეგისტრირებული: 27/05/2021წელს, ს/ნ 405463350) დირექტორი,** შემდგომში “მიმნდობი პირი”, წინამდებარე მინდობილობით **მიხეილ ჯინჭარაძეს (დაბ. 24.04.1978წელს, პირადი # 01025001988)** შემდგომში წოდებული როგორც “მინდობილი პირი”, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანოში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეესტრში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოში, საქ. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში; საგადასახადო სამსახურში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში და აწარმოოს მოლაპარაკებები მიმნდობი პირის სახელით. მოახდინოს კომპანიის სახელზე არსებული უძრავი ქონების გამიჯვნა/ლეგალიზაცია, წითელი ხაზების კორექტირება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ასევე იყოს წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურში.

ამ დავალებების შესასრულებლად შეიტანოს მიმნდობი პირის სახელით ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, შეავსოს შესაბამისი ანკეტა (ფორმა, დანართი), ხელი მოაწეროს (მათ შორის, ელექტრონულად) მიმნდობი პირის მაგივრად ყველა საჭირო დოკუმენტს და განახორციელოს ყველა მოქმედება, დაკავშირებული ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

მინდობილობა გაცემულია **განუსაზღვრელი ვადით.**

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარი გადაეცემა მიმნდობ პირს.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

- შპს „ კოლოსი დიღომი“-ს (რეგისტრირებული: 27/05/2021წელს, ს/ნ 405463350) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

ამირან ანდღულაძე

ნოტარიუსი /თამარ ბაქრაძე